

გადასახადების წარმოშობა და განვითარების ეტაპები

თორნიკე რუსია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს ფუნქციონირების ეფექტიანობის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მიუთითებს სოციალური კონტრაქტების ქმედუნარიანობაზე სახელმწიფოსა და საგადასახადო სუბიექტებს შორის.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ფორმულირებისა და განვითარების ეკონომიკური საფუძველია ფინანსური რესურსები, რომლებიც ძირითადად გადასახადებითა და მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდით ფორმირდება. ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის გამართულ მუშაობაზე. გადასახადები სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის არის დადრჩება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკვანძო საკითხად.

საკვანძო სიტყვები: გადასახადები, საგადასახადო სისტემა, გადასახადების განვითარება.

TAXES ORIGIN AND STAGES OF DEVELOPMENT

Tornike Rusia
PhD student of GTU

ABSTRACT

The tax system and tax policy are an integral part of the effective functioning of the state, which indicates the viability of social contracts between the state and tax subjects.

As is known, financial resources are the economic basis for the formulation and development of the state, which are mainly formed by taxes and their payment to the state budget. The proper and effective functioning of the country's economic system significantly depends on the tax policy implemented by the state and the proper functioning of the tax system. Taxes are a tool of the state to influence the economy. Issues related to the perfection of the tax system are always and will remain the most important key issues of the country's economic policy.

Keywords: taxes, tax system, development of taxes.

ძირითადი ტექსტი

გადასახადების წარმოშობას ისეთივე ძველი ისტორია აქვს როგორც თავად სახელმწიფოებრიობას და ცნება, გადასახადი თავისი ფესვებით საუკუნეების სიღრმიდან მოდის. გადასახადები ჯერ კიდევ

საზოგადოებრივი ცივილიზაციის სანყის პერიოდშივე შემოიღეს, როგორც კი მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება გაჩნდა, რაც განპირობებული იყო იმ ეტაპობრივი განვითარებით, რომელსაც თავად საზოგადოება განიცდიდა.

რომის ცივილიზაცია საკმაოდ კარგად ცნობილია, ზუსტად ამიტომაც მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი თუ როგორ რეგულირდებოდა გადასახადის ფორმა ძველ რომში. „გადასახადის მოცულობას (მას ეწოდებოდა „ცენზი“) ადგენდნენ ხუთი წლის ვადით არჩეული ჩინოვნიკ-ცენზორები. ამ უკანასკნელს წარმოადგენდა მოსახლეობის შედარებით პატიოსანი და კვალიფიციური ნაწილი. რომის მოქალაქეები ცენზორებს წარუდგენდნენ განაცხადს თავიანთი ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ეს იყო გადასახადების ისტორიაში დეკლარაციების წარდგენის პირველი პრაქტიკა, რომელმაც შემდგომ განვითარება ჰპოვა სხვა ქვეყნებშიც და დღესაც ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში“.¹

მას შემდეგ, რაც რომის სახელმწიფო გაძლიერდა და შემოიერთა ახალი ტერიტორიები, სახელმწიფო გადასახადებთან ერთად შემოიღეს ადგილობრივი გადასახადები. იმ ეტაპზე, როდესაც რომი იმპერიად გადაიქცა ცნობილია, რომ პროვინციებში მცხოვრებ მოსახლეობას არ გააჩნდათ მოქალაქეობა. ზუსტად ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ამ პროვინციებში გადასახადები იყო ძალიან მაღალი. ამ ყველაფერთან ერთად პროვინციაში ვერ ხდებოდა სახელმწიფო საფინანსო ორგანიზაციების შექმნა რაც ართულებდა გადასახადების მოცულობისა და სახეების დადგენას. საბოლოო ჯამში სახელმწიფო ამ საქმეში დასახმარებლად იყენებდა ე.წ მოიჯარე-შემსყიდველებს, რომელთა კონტროლიც ცალკეული პრობლემა იყო და ვერ ხერხდებოდა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კორუფციას და თანხების გაფლანგვას. ყოველივე ამის შედეგად ქვეყანაში იფეთქა ეკონომიკურმა კრიზისმა, რაც გარდაუვალი იყო მსგავსი მიდგომით.

მიწის გადასახადთან ერთად, თანდათანობით შემოიღეს სხვა სახის გადასახადები. მაგალითად, გადასახადი მონით ვაჭრობაზე, გადასახადი მონის განთავისუფლებაზე, სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს გადასახადების პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად დაყოფა, რომელიც მსოფლიოში დღესაც ფართოდაა გამოყენებული.

საგადასახადო დაბეგვრის პრობლემები მუდმივად იპყრობდა ფილოსოფოსთა, ეკონომისტთა, სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღებას, ვინაიდან გადასახადებში კონცენტრირდება საზოგადოების ეკონო-

1 ი. მესხია, მ. გოცირიძე მ., „ლელოძე რ., „საგადასახადო ქრესტომათია“, დამხმარე სახემძღვანელო საგადასახადო ატესტაციისათვის. თბილისი.

მიკუური, პოლიტიკური და სოციალური ინტერესები, მიუხედავად სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმისა და მმართველობის სისტემისა, ვინაიდან რა ფორმაც და მართველობის სისტემაც არ უნდა იყოს სახელმწიფოში ბიუჯეტი და ეკონომიკური მდგრადობა აუცილებლად ჭირდება.

მაგალითად, თ. აქვინელი² აღნიშნავდა, რომ გადასახადი არის ძარცვის ნებადართული ფორმა. მონტესკიე³ ამბობდა, რომ არაფერი არ საჭიროებს იმდენ სიბრძნესა და ჭკუას, რაც განსაზღვრა იმ წილისა, რომელსაც ქვეშევრდომებს ართმევენ და იმისა, რასაც მას უტოვებენ. სულ მალე გადასახადი იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ აშშ-ს ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ – ბ. ფრანკლინმა შეძლო და თქვა: “ცხოვრებაში ორი რამაა გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები”. ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის გადასახადების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებდა კარლ მარქსიც⁴: „გადასახადი ეს არის მთავრობის მასაზრდოებელი დედის ძუძუ... გადასახადი – ეს არის საკუთრებასთან, ოჯახთან და რელიგიასთან ერთად მეხუთე ღმერთი. “გადასახადის, როგორც ერთ-ერთი კვლავ წარმოებრივი ფაქტორის დასაბუთება მოცემულია მე-18 საუკუნის დასაწყისში საზღვარგარეთის ეკონომისტების - ე. საქსის, ჟ-ბ სეიას, ვ. პოსოშკოვის ნაშრომებში.

იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები ხშირად აწესებდნენ ისეთ გაუმართლებელ გადასახადებს, რომლებსაც უარყოფითი შედეგი მოჰქონდა როგორც მოსახლეობისათვის, ასევე სახელმწიფოსათვის. ამის მაგალითია მე-17 საუკუნეში დიდ ბრიტანეთში დაწესებული გადასახადი ბინის ფანჯრებზე, რამაც აიძულა მოსახლეობა, მაქსიმალურად შეემცირებინათ ფანჯრების რაოდენობა და დაეხმებინათ თავიანთი საცხოვრებლები. შედარებით მოგვიანებით საფუძველი ჩაეყარა გადასახადების დაწესებისა და აკრეფის სახელმწიფო სისტემას, ჩამოყალიბდა გადასახადების ახალი თეორიები. ამ პერიოდის ცნობილი ფილოსოფოსი და რელიგიური მოღვაწე თომა აქვინელი (1225-1274) გადასახადებს განმარტავდა, როგორც „ქვეყნის ნებადართულ ძარცვას“. საგადასახადო დაბეგვრის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ადამ სმიტს (1723 -1790 წ.წ.) 1776 წელს გამოცემულ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხის სიმდიდრისა, ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, ჩამოყალიბებული აქვს საგადასახადო პოლიტიკის თეორიული საფუძვლები და საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები (განსაზღვრულობის, ეფექტიანობის, სამართლიანობის). „ევროპის ძველ ქვეყნებში გადასახადების წარმოშობისა და განვითარების რეტროსპექტული ანალიზიდან იჩვენება, რომ მან გაიარა ორი ძირითადი ეტაპი. პირველი ეტაპი მოიცავს უძველესი დროიდან შუა საუკუნეების დასაწყისამდე პერიოდს, როდესაც

მიმდინარეობდა სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი და არ არსებობდა გადასახადების დამდგენი და ამკრეფი კვალიფიცირებული საფინანსო სისტემა.

მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს მე-16 საუკუნის დასასრულიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა საფინანსო საგადასახადო დაწესებულებების ქსელი და სახელმწიფომ საგადასახადო ადმინისტრაციული და მეთოდური საკითხების გადაწყვეტა საკუთარ თავზე აიღო.

გადასახადების განვითარების მესამე ეტაპი სათავეს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იღებს და დღემდე გრძელდება. ამ ეტაპზე უშუალოდ სახელმწიფო ადგენს გადასახადებს და ითავსებს აკრეფის ფუნქციას, ქმნის საკანონმდებლო ბაზას და უზრუნველყოფს მის შესრულებაზე კონტროლს. თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო ურთიერთობებს და სისტემებს ცალკეული ქვეყნების ჭრილში გააჩნიათ გარკვეული თავისებურებანი და სპეციფიკური ნიშნები, რაც თავის მხრივ განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული, ეროვნული, ტრადიციული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა თავისებურებებით.

დასკვნა

გადასახადები საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ნატურით ხდებოდა ვაჭრობის წარმოება. საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა გადასახადების შინაარსი და ევოლუციის შესაბამის პერიოდს ერგებოდა. საჭიროება იმისა, რომ გადასახადები აუცილებელი იყო მიუთითებს იმ გარემოებას თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭებოდა მას ისტორიის განვითარების თითოეულ ეტაპზე.

გადასახადების განვითარება, წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, ვინაიდან სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსების უპირობო წყარო ზუსტად გადასახადებია, აქედან გამომდინარე ეკონომიკური განვითარების შესაბამისად მოდერნიზაცია უნდა განიცადოს გადასახადებამაც, რათა ფეხი აუწყოს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. მესხია, მ. გოცირიძე მ., ლელაძე რ., „საგადასახადო ქრესტომათია“, დამხმარე სახელმძღვანელო საგადასახადო ატესტაციისათვის. თბილისი
2. ვერულიძე 2008: ვერულიძე ვ., „გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა“, სახელმძღვანელო. თბილისი
3. ყამარაული ... 2010: ყამარაული ს., ჩოკოლაშვილი მ., ყამარაული ლ., „გადასახადები და დაბეგვრა.“ სახელმძღვანელო. თბილისი. 2010.

2 თომა აქვინელი - მაღალი შუა საუკუნეების ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი. დომინიკელთა ორდენის წევრი. პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, თომიზმის ფუძემდებელი.

3 შარლ ლუი დე მონტესკიე - ფრანგი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი.

4 კარლ ჰაინრიხ მარქსი - გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პოლიტიკური თეორეტიკოსი, სოციოლოგი, კომუნისტი და რევოლუციონერი.